2021

მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი
CENTER FOR MIGRATION AND DIASPORA STUDIES

კვლევა - სასწავლო მიგრაცია - ქართველი სტუდენტები და გამოწვევები

ლელა გოგინავა

შესავალი

ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს განათლებული საზოგადოება. განათლება არის ის საყრდენი, რაც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, სოციალურ კეთილდღეობასა და ტექნოლოგიურ პროგრესს. შესაბამისად, განათლებაში ჩადებული ინვესტიცია წარმოადგენს მდგრადი განვითარების წინაპირობას და ადამიანური კაპიტალის ზრდის საფუძველს. პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველივე წლებში სრულიად სამართლიანად, მთავარ პრიორიტეტად დაისახა განათლების რეფორმა, ვინაიდან შეუძლებელი იყო აღნიშნული სფეროს საბჭოთა კანონმდებლობებითა და რეგულაციებით ფუნქციონირება. დაიწყო სისტემის რეორგანიზაცია და რეფორმირება, რაც დღემდე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. თუმცა, ვერ მოხერხდა ისეთი ეფექტური საგანამანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი განათლების ხელმისაწვდომობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამაზე მეტყველებს საერთშორისო კვლევების შედეგებიც.

თუ გადავხედავთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევებს, რომელსაც აღნიშნული ორგანიზაცია სამ წელიწადში ერთხელ ატარებს, აღმოვაჩენთ, რომ ქართველი მოსწავლეების შედეგები შემაშფოთებელია. **მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PISA**) კვლევის თანახმად, რომელიც 3 მოდულს აერთიანებს - კითხვა (წაკითხულის გააზრება და სწორად ინტერპრეტირება), მათემატიკა და მეცნიერება, საქართველოს რეიტინგი 2018 წელს 2015 წელთან შედარებით, სამივე მოდულში გაუარესდა[i].

დიაგრამა 1



შედეგების მიხედვით, საქართველო ბოლოდან მე-8 ადგილს იკავებს 79 ქვეყანას შორის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები არსებობს. [ii]

დიაგრამა 2


PISA 2018 results
Snapshot of students' performance in reading, mathematics and science
Countries are ranked in descending order of the average reading score (focus of PISA 2018)
READING
MATHEMATICS
SCIENCE
B-S-J-Z* (CHINA) 555 591 590
SINGAPORE 549 569 551
MACAO (CHINA) 525 558 544
HONG KONG (CHINA) 524 551 517
ESTONIA 523 523 530
CANADA 520 512 518
FINLAND 520 507 522
IRELAND 518 500 496
KOREA 514 526 519
POLAND 512 516 511
SWEDEN 506 502 499
NEW ZEALAND 506 494 508
UNITED STATES 505 478 502
UNITED KINGDOM 504 502 505
JAPAN 504 527 529
AUSTRALIA 503 491 503
CHINESE TAIPEI 503 531 516
DENMARK 501 509 493
NORWAY 499 501 490
GERMANY 498 500 503
SLOVENIA 495 509 507
BELGIUM 493 508 499
FRANCE 493 495 493
PORTUGAL 492 492 492
CZECH REPUBLIC 490 499 497
NETHERLANDS 485 519 503
AUSTRIA 484 499 490
SWITZERLAND 484 515 495
CROATIA 479 464 472
LATVIA 479 496 487
RUSSIA 479 488 478
ITALY 476 487 468
HUNGARY 476 481 481
LITHUANIA 476 481 482
ICELAND 474 495 475
BELARUS 474 472 471
ISRAEL 470 463 462
LUXEMBOURG 470 483 477
UKRAINE 466 453 469
TURKEY 466 454 468
SLOVAK REPUBLIC 458 486 464
GREECE 457 451 452
CHILE 452 417 444
MALTA 448 472 457
SERBIA 439 448 440
UNITED ARAB EMIRATES 432 435 434
ROMANIA 428 430 426
URUGUAY 427 418 426
COSTA RICA 426 402 416
CYPRUS 424 451 439
MOLDOVA 424 421 428
MONTENEGRO 421 430 415
MEXICO 420 409 419
BULGARIA 420 436 424
JORDAN 419 400 429
MALAYSIA 415 440 438
BRAZIL 413 384 404
COLOMBIA 412 391 413
BRUNEI DARUSSALAM 408 430 431
QATAR 407 414 419
ALBANIA 405 437 417
BOSNIA & HERZEGOVINA 403 406 398
ARGENTINA 402 379 404
PERU 401 400 404
SAUDI ARABIA 399 373 386
THAILAND 393 419 426
NORTH MACEDONIA 393 394 413
BAKU (AZERBAIJAN) 389 420 398
KAZAKHSTAN 387 423 397
GEORGIA 380 398 383
PANAMA 377 353 365
INDONESIA 371 379 396
MOROCCO 359 368 377
LEBANON 353 393 384
KOSOVO 353 366 365
DOMINICAN REPUBLIC 342 325 336
PHILIPPINES 340 353 357
SPAIN data are not available 481 483
OECD AVERAGE 487 489 489
300 400 500 600
Source: OECD, PISA 2018 Database || *B-S-J-Z refers to Beijing, Shanghai, Jiangsu and Zhejiang
OECD

სასწავლო მიგრაციის მოტივატორები

სამი ათეული წლის წინ საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი იყო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს გაცვლით სასწავლო პროგრამებს სთავაზობდნენ. გლობალიზაციამ და ბოლონიის პროცესში ჩართულობამ, მოიტანა ის, რომ საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გააფართოვეს საერთაშორისო თანამშრომლობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ასევე სხვადასხვა სასწავლო ორგანიზაციების, ფონდების, ცენტრების, განათლების სამინისტროს, სხვადასხვა ქვეყნების საელჩოების მიერ სასწავლო პროგრამების დაფინანსების წყალობით, ძალიან ბევრ ახალგაზრდას საშუალება ეძლევა მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში, სადაც სპეციალობების საკმაოდ ფართო და მოქნილი არჩევანია, მიიღოს განათლება და დაეუფლოს მისთვის სასურველ პროფესიას. ვიზალიბერალიზაციამ კიდევ უფრო გაამარტივა როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა.

დიაგრამა 4



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

მიუხედავად მოცემული არასრულყოფილი სტატისტიკისა,[1] საქართველოდან სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მიემგზავრება საზღვარგარეთ განათლების მისაღებად. განათლების საერთაშორისო ცენტრის ბენეფიციარებისათვის გაცემული ბიუჯეტის

[1] სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ეყრდნობა უმაღლესი სასწავლებლებიდან გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების შესახებ მოწოდებულ რაოდენობრივ მონაცემებს და არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებლად წასული სტუდენტების მონაცემები.

მზარდი სტატისტიკაც ამაზე მეტყველებს, თუ არ ჩავთვლით 2020 წელს, კოვიდპანდემიის გამო შეცვლილ მაჩვენებლს[iii].

დიაგრამა 5



განათლების საერთაშორისო ცენტრის მონაცემები

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემების თანახმად, 2020 წლის ნოემბრისათვის საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 63-ს შეადგენს.[iv] რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს პიროვნების ინტერესზე მორგებული, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება. მაშინ ისმის კითხვა, რა განაპირობებს სასწავლო მიგრაციის მზარდ სტატისტიკას და რა წარმოადგენს მის ძირითად მოტივატორ(ებ)ს?

ზოგადად, საზღვარგარეთ განათლების მიღებას ბევრი ხიბლი აქვს: ახალი ცხოვრებისეული გამოცდილება, განსხვავებულ კულტურულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა, უცხო ენების შესასწავლად ხელსაყრელი გარემო, საინტერესო ტურისტული ადგილების ხელმისაწვდომობა და ა.შ. ამაში ერთი შეხედვით საგანგაშო არაფერია, თუ მხედველობაში მივიღებთ საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა მოტივაციას, რაც კონკრეტულ სფეროში ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დროებით მიგრაციაში გამოიხატება. ეს კატეგორია შესაძლებელია მივაკუთვნოთ „ტვინების მობილობის“ (brain mobility) კატეგორიას - როცა განათლების გარკვეული საფეხურის გავლის შემდეგ, სასწავლო მიგრაციაში მონაწილე პირი უბრუნდება თავის ქვეყანას და ზრდის კვალიფიციურ მოხელეთა არმიას. სასწავლო მიგრაცია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საგანგაშო ხდება იმ

შემთხვევაში, როცა საქმე გავაქვს ე.წ „ტვინების გადინებასთან“ (brain drain), რაც სერიოზულ დარტყმას აყენებს ქვეყნის ინტელექტუალურ რესურს.

სასწავლო მიგრაციაზე მსჯელობისას იკვეთება, რომ საზღვარგარეთ განთლების ან კვალიფიკაციის ამაღლების მსურველთა მხრიდან საქმე გვაქვს ორი სახის სტრატეგიასთან: პირველი გახლავთ საზღვარგარეთ კარგი და საჭირო განათლების მიღება ან კვალიფიკაციის ამაღლება სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივით და მეორე - განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლის სურვილი უცხოეთში საბოლოო ემიგრირების მიზნით.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ქართველმა სტუდენტებმა, რომლებიც ამჟამად საზღვარგარეთ იღებენ განათლებას, უცხოეთში განათლების მიღების ძირითად მოტივატორად დაასახელეს:[2]

1. **მულტიდისციპლინარული განათლება და ევროპული და ამერიკული დიპლომების კონკურენტუნარიანობა** - რაც გულისხმობს სპეციალისტების მრავალმხრივ მომზადებას. პრესტიჟული დიპლომი კი, სასურველი სამსახურის პოვნის გარანტიას წარმოადგენს.
2. **დასაქმების შანსი და დამსაქმებლის დამოკიდებულება.** ანაზღაურება განისაზღვრება განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად;
3. **კავშირებისა და ურთიერთობების შანსი დარგის პროფესიონალებთან**, რაც ეხმარება სტუდენტს თავისი კარიერის აწყობასა და საქმიანი ურთიერთობების გამყარებაში.
4. **სპეციალობების ფართო არჩევანი** - ისეთი სპეციალობები, რომელიც ნაკლებადაა მოთხოვნადი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ;
5. **სასწავლო პრაქტიკის შესაძლებელობა წამყვან კომპანიებში;** სწავლის პერიოდში გათვალისწინებულია მსხვილ კომპანიებსა და საფინანსო ინსტიტუტებში პრაქტიკის გავლა, რაც საბოლოოდ საფუძველს უმზადებს კურსდამთავრებულს ცნობილ კორპორაციებში დასაქმებისათვის.
6. **სამცენიერო კვლევებისათვის თანამედროვე ინფრასტრუქტურა;** სასწავლო დაწესებულებებს აქვთ ფუფუნება ჰქონდეთ ძვირადღირებული აპარატურა და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები.
7. **ემიგრაციის სურვილი**, დასაქმების შემთხვევაში იზრდება კონკრეტულ ქვეყანაში ლეგალური ცხოვრების უფლების მოპოვების შანსი.

სასწავლო მიგრაციაში მონაწილე პირის მიერ არჩეული სტრატეგიის მიუხედავად, უცხოური დიპლომი ორივე შემთხვევისთვის აქტუალური და კონკურენტუნარიანია. დასაქმების მსოფლიოს ბაზარზე, ბოლონიის პროცესიდან გამომდინარე, ქართულ დიპლომს ერთი შეხედვით აღიარების პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ მიმართულებას (მაგალითად სამედიცინო, სამართალი), როცა კურსდამთავრებულს ან სტუდენტს უწევს დამატებითი სემესტრის გავლა ქართული

[2] იხ. დანართი 1. გამოკითხვის შედეგები - შეკითხვა 1.

დიპლომის სრულად აღიარების მიზნით. თუმცა, იმის გამო, რომ ზოგადად ქვეყანას არ იცნობენ სათანადოდ, არსებობს გარკვეული უნდობლობა ქართული დიპლომის მიმართ და ეს ფაქტორი იქცევა მიგრაციის მოტივატორად.[3] ხდება ერთგვარი პრევენცია იმისა, რომ მსოფლიო შრომით ბაზარზე სამსახურის ძიებისას კონკურენტუნარიანი იყოს დიპლომიც და კვალიფიკაციაც.

აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დიპლომთან და კვალიფიკაციასთან განსხვავებული მიდგომა აქვთ იმ პირებს, რომელთა მიზანს წარმოადგნეს საზღვარგარეთ საბოლოოდ ემიგრირება. აღნიშნული პირები კარგად აცნობიერებენ ბაზარზე არსებულ კონკურენციას და მუდმივად ცდილობენ თავიანთი ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებას.

განსხვავებულია იმ პირთა მიდგომა, რომლებიც განათლების კონკრეტული ეტაპის გავლის შემდეგ ბრუნდებიან საქართველოში. დაბალი კონკურენციის გამო, კვალიფიკაციაზე მეტად უპირატესობის მოსაპოვებლად და ხელსაყრელი კარიერის მისაღწევად საკმარისია დიპლომის ქონა, რასაც ბუნებრივია თვისი ახსნა აქვს - საქართველოში დამსაქმებლის გათვლა ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ უცხოეთში განათლებამიღებული კადრი, მეტი გამოცდილების მქონეა ბევრი თვალსაზრისით - (ენი(ებ)ის ცოდნა, უცხოურ კომპანიებში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული კავშირები და ა.შ.) და ეს ყველაფერი საკმაოდ მიმზიდველია მისთვის. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც.

ამა თუ იმ კომპანიაში დასაქმებისას, უცხოეთში განათლებამიღებული კადრები საქართველოში ხშირად აწყდებიან მენეჯმენტის განსხვავებულ კულტურას, რაც ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაშიც აისახა.[4] უცხოეთში მყოფი სტუდენტების უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში კარიერული წინსვლისთვის შეუსაბამო გარემოა. დამსაქმებელი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს დასაქმებულის პროფესიულ გამოცდილებას და არა განათლებას და არასწორ სტრატეგიას ირჩევს მისი განვითარებისათვის. პრობლემას წარმოადგენს სამუშაო საათების განსაზღვრა და შრომისა და ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ანაზღაურებაც. შესაბამისად, დამსაქმებლის დამოკიდებულება ზოგიერთ შემთხვევაში იქცევა განმეორებადი მიგრაციის მოტივატორად. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის სამშობლოში დაბრუნების მოტივაციას წარმოადგენს ქვეყნის მშენებლობაში წვლილი შეტანა[5], თუმცა ამავე დროს სამშობლოში დაბრუნების შემაფერხებელ გარემოებად თვლის, კონკრეტულ სპეციალობებზე მოთხოვნილების არარსებობას, რაც თავის მხრივ ახალისებს საზღვარგარეთ მყოფი ახალგაზრდების მხრიდან უცხოეთში მაქსიმალურად სანგრძლივი დროით დარჩენას და საბოლოო ჯამში ემიგრირებას. [6]

[3] იხ. დანართი 1 გამოკითვის შედეგები - შეკითხვა 1
[4] იხ. დანართი 1 გამოკითხვის შედეგები - შეკითხვა 6
[5] იხ. დანართი 1 გამოკითხვის შედეგები - შეკითხვა 4
[6] იხ. დანართი 1 გამოკითხვის შედეგები - შეკითხვა 6

სტატისტიკური მონაცემები იმ პროფესიათა არჩევასთან მიმართებაში, რომელიც 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლო შედეგებით განისაზღვრა, ასე გამოიყურება - ყველაზე მოთხოვნად სპეციალობას წარმოადგენს ბიზნეს ადმინისტრირება, სამართლის და ჰუმანიტარული ფაკულტეტები [v].

(დიაგრამა 6)



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

სულ უფრო მკვეთრი ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესების კლება და ამაზე მეტყველებს ამ მიმართულებაზე ჩაჭრილი აბიტურიენტების სტატისტიკაც. [vi]

(დიაგრამა 7)



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სტატისტიკური ანალიზი

მსოფლიოს მასშტაბით კი, როგორც არასდროს სულ უფრო იზრდება ინტერესი ინჟინერიისა და ზუსტი მეცნიერებების მიმართ და შესაბამისად, დაინტერესება ამ პროფესიების დაუფლებისა. აღნიშნულ მიმართულებებზე საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტებში, ბევრად მეტი არჩევანი და მოქნილი პროგრამებია, რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს მიგრაციის მოტივაციაზე, მათ შორის ქართველი სტუდენტების დაინეტერსებაზეც. [vii]

დიაგრამა 8



მსოფლიოს განათლების სამსახურის (WES) მონაცემები

განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც საქართველოში 2014 წელს დაფუძნდა, ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეებს საუკეთესო განათლების მიღებაში. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ცენტრის ბენეფიციართა (საბაკალავრო და სამაგისტრო) მიერ არჩეული ყველაზე მოთხოვნადი დისციპლინების ბოლო სამი წლის სტატისტიკა, რომლის მიხედვით ბაკალავრიატის საფეხურზე პროგრესი შეიმჩნევა ბიოლოგიისა და მათემატიკის მიმართულებით, რასაც ვერ ვიტყვით ინჟინერიაზე, ხოლო სამაგისტრო პროგრამებში სოციალური მეცნიერებები ცალსახად ლიდერია.

დიაგრამა 9



განათლების საერთშორისო ცენტრი

დიაგრამა 10



განათლების საერთშორისო ცენტრი

აღნიშნული სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა ჯერჯერობით არ არის მზად ახალი გამოწვევებისთვის. მსოფლიოს ე.წ. „მაღალი რანგის“ პროფესიებზე და პროფესიონალებზე მოთხოვნა

ჯერჯერობით არ არსებობს. შესაბამისად, ეს ზეგავლენას ახდენს პროფესიების არჩევანზეც და სასწავლო მიგრაციაზე, რაც საბოლოოდ აღნიშნული პროფესიების არჩევის შემთხვევაში ემიგრაციით მთვარდება და საქმე გვაქვს ქვეყნიდან ტვინების გადინების (brain drain) პრობლემასთან, რაზეც გავლენას ვერ ახდენს ისეთი გამოწვევაც კი, როგორიც პანდემიაა. [7]

გამოწვევები

სასწავლო მიგრაციას ახალისებს ის ფაქტორიც, რომ ბევრი ქვეყნისთვის სტუდენტთა მიგრაცია წარმოადგენს ძალიან მომგებიან და განვითარებად ბიზნესს, მხედველობაში გვაქვს უცხოელი სტუდენტების მიერ ამ ქვეყნების ეკონომიკისათვის გაღებული თანხები. პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის (NAFSA) მონაცემებით აშშ-ს ეკონომიკა ყოველწლიურად მილიარდობით დოლარის სარგებელს იღებს უცხოელი სტუდენტებისაგან. [viii]

დიაგრამა 11



პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის (NAFSA) მონაცემები

შესაბამისად, თუკი ადრე სტუდენტთა მიგრაცია ერთგვარ დახმარების ფორმას წარმოადგნდა განვითარებადი ქვეყნებისათვის, ახლა ეს მიდგომა შეიცვალა და მთელი აქცენტი გადავიდა ეკონომიკურ სარგებელზე. ამისათვის სტუდენტებს სულ უფრო მეტი შანსი მიეცათ სწავლის პარალელურად დასაქმებისა და ქვეყანაში ლეგალურად დარჩენის ვადის გასახანგრძლივლებლად. მაგრამ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი და

[7] იხ.დანართი 1 - გამოკითხვის შედეგები - შეკითვხა 3

სერიოზული გამოწვევა - კოვიდპანდემია, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა მსოფლიოში. პანდემიამ, ბევრი რამ სხვა კუთხით დაგვანახა და რაც მთავარია, მოახდინა პრობლემათა იდენტიფიცირება, რაც სერიოზულ დაფიქრებას და ანალიზს მოითხოვს.

2020 წელს პირველად მოხდა ვარდნა უცხოელი სტუდნეტების შენატანების მზარდ სტატისტიკაში[8] და ეს თანაბრად შეეხო როგორც მსოფლიო დასაქმების ბაზარს და სპეციალობებს, ასევე საქართველოს. [ix]

ის რეგულაციები, რაც სახელმწიფოებმა შემოიღეს პანდემიის პრევენციის მიზნით - ლოქდაუნები, კოვიდთან დაკავშირებული მიგრაციის პოლიტიკა და პრევენციის ზომები, სერიოზულად აფერეხებს სტუდენტების გადაადგილებას, ლეგალურად მყოფი სტუდენტების ნებარვთის გაგრძელებისა და ახალი სტუდენტების მიღების პროცედურას და საფრთხეს უქმნის მათ სტატუსს. 2020 წელს 682 ქართველი სტუდენტი დაბრუნდა სამშობლოში[x] და ონალინ რეჟიმში აგრძელებენ სწავლას. უცხოელ სტუდენტთა ჰაბის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად[xi], 2020 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების 42,3%-მა შეცვალა თავისი გეგმა მათ მიერ არჩეულ ქვეყანაში სწავლის გაგრძელების თაობაზე.

გარდა ამისა, ევროპული მიგრაციის ქსელის მიერ გავრცელებული საინფორმაციო ბიულეტენის თანახმად,[xii] ბევრმა ქვეყანამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დააწესა შეზღუდვები, ჩაკეტა საზღვრები. ქვეყნებმა შეცვალეს საემიგრაციო პროცედურები, გადაიდო სასწავლო ვიზების განაცხადების დამუშავების პროცესი. გართულდა ადმინისტრაციული პროცედურები. ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა შეამცირა სასწავლო კურსზე ჩასარიცხი ადგილების რაოდენობა.

სერიოზული საფრთხის ქვეშაა სტუდენტების დასაქმებაც პანდემიის პირობებში. ლოკდაუნის გამო ძალიან ბევრი კომპანია გაკოტრდა, ეკონომიკური კრიზისის გამო უცხოელი სტუდენტები გამოეთიშნენ ფინანსური დახმარების პროგრამას. ეს ყოველივე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს და მოახდენს სასწავლო მიგრაციაზე და ალბათ, ძალიან ბევრ სასწავლო დაწესებულებას მსოფლიოში მოუწევს პროგრამებისა და სწავლის მეთოდების გადახედავა, მათ შორის საქართველოსაც.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სასწავლო მიგრაციის ფარგლებში სულ უფრო მზარდია ქვეყნიდან „ტვინების გადინების“ ტენდენცია და ამას ახალისებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი: მულტიდისციპლინარული განათლება, დიპლომების კონკურენტუნარიანობა, დამსაქმებლის დამოკიდებულება და სხვა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთა უმრავლესობისათვის უცხოეთში განათლების მიღების სურვილი იმდენად მნიშველოვან ფაქტორს

[8] იხ. დიაგრამა 11

წარმოადგენს, რომ დაფინანსების არქონის შემთხვევაშიც, მზად არიან გაემგზავრნონ ქვეყნიდან. [9]

ქვეყნაში კვალიფიკაციასთან შეუსაბამო ანაზღაურება და არასწორი ორგანიზაციული მენეჯმენტი, ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა დაბრუნების შემაფერხებულ ფაქტორს წარმოადგენს, მიუხედავად უცხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტების უმრავლესობის დიდი სურვილისა, დაბრუნდეს სამშობლოში. [10]

საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში მსოფლიოში მოთხოვნადი პროფესიების სიმწირე და ქართული დიპლომის არაკონკურენტუნარიანობა ხელს უწყობს და ახალისებს ქართველი სტუდნეტების ხანგრძლივ სასწავლო მიგრაციას და შედეგად იწვევს მათ საბოლოო ემიგრირებას.

[9] იხ. დანართი 1 - გამოკითხვის შედეგები - შეკითხვა 5
[10] იხ.დანართი 1 - გამოკითხვის შედეგები - შეკითვხა 6

დანართი 1

კითხვარი

1.ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს საზღვარგარეთ განათლების მიღების მთავარ მოტივატორს? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- ☐ მულტიდისციპლინარული განათლება და ევროპული და ამერიკული დიპლომების კონკურენტუნარიანობა;
- ☐ სასწავლო პრაქტიკის შესაძლებელობა წამყვან კომპანიებში;
- ☐ სამცენიერო კვლევებისათვის თანამედროვე ინფრასტრუქტურა;
- ☐ კავშირებისა და ურთიერთობების შანსი დარგის პროფესიონალებთან;
- ☐ ემიგრაციის სურვილი;
- ☐ დასაქმების შანსი და დამსაქმებლის დამოკიდებულება;
- ☐ სპეციალობების ფართო არჩევანი;
- ☐ სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)

2.აპირებთ განათლების კონკრეტული ეტაპის გავლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას?

- ○ დიახ
- ○ არა
- ○ მიჭირს პასუხის გაცემა

3.კოვიდ პანდემიამ იქონია უარყოფითი გავლენა ემიგრირების სურვილზე?

- ○ დიახ
- ○ არა
- ○ მიჭირს პასუხის გაცემა

4.რა შეიძლება იქცეს სამშობლოში დაბრუნების მოტივატორად? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- ☐ მაღალანაზღურებადი სამსახური;
- ☐ ოჯახისა და ახლობლების გარემოცვაში ყოფნის სურვილი;
- ☐ წვლილის შეტანა ქვეყნის განვითარებაში;
- ☐ სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)

5.სწავლის დაფინანსების არქონის შემთხვევაში წახვიდოდით განათლების მისაღებად საზღვარგარეთ?

- ○ დიახ
- ○ არა
- ○ მიჭირს პასუხის გაცემა

6.ჩამოთვლილთაგან რა ახდენს უარყოფით ზეგავლენას სამშობლოში დაბრუნებაზე? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- ☐ შეუსაბამო ანაზღაურება;
- ☐ კარიერული წინსვლისთვის არახელსაყრელი პირობები;
- ☐ კონკრეტულ სპეციალობაზე მოთხოვნილების არარსებობა;
- ☐ არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა;
- ☐ სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)

გამოკითხვის შედეგები

1.



2.



3.


კოვიდ პანდემიამ იქონია უარყოფითი გავლენა ემიგრირების სურვილზე?
დიახ
არა
მიჭირს პასუხის გაცემა

4.


რა შეიძლება იქცეს სამშობლოში დაბრუნების მოტივატორად? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)
მაღალანაზღაურებადი სამსახური
ოჯახისა და ახლობლებლის გარემოცვაში ყოფნის სურვილი
წვლილის შეტანა ქვეყნის განვითარებაში
სხვა

5.


სწავლის დაფინანსების არქონის შემთხვევაში წახვიდოდით განათლების მისაღებად საზღვარგარეთ?
დიახ
არა
მიჭირს პასუხის გაცემა

6.


ჩამოთვლილთაგან რა ახდენს უარყოფით ზეგავლენას სამშობლოში დაბრუნებაზე? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)
შეუსაბამო ანაზღაურება
კარიერული წინსვლისათვის არახელსაყრელი პირობები
კონკრეტულ სპეციალობაზე მოთოვნილების არარსებობა
არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა
სხვა

შენიშვნები

[i] ლალი ჯელაძე (2009 წ. 3 დეკემბერი) ონლაინ გაზეთი „ახალი განათლება“ https://akhaliganatleba.ge/http-akhaliganatleba-ge-wp-admin-post-phppost4133actioneditclassic-editor/

[ii] OECD (2019), PISA 2018 Assessment and Analytical Framework, PISA, OECD Publishing, Paris.https://www.oecd.org/pisa/PISA-results_ENGLISH.png

[iii] განათლების საერთაშორისო ცენტრი , 2020 წლის ანგარიში გვ.34 https://iec.gov.ge/Portals/0/final.pdf?ver=2020-12-29-094608-260&timestamp=1609220801823

[iv] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი , უმაღლესი განათლების სისტემა https://eqe.ge/ka/page/parent/7/ganatlebis-sistema

[v] საგანმანათლებლო ვებ გვერდი EDU.GE - განათლება, სტატისტიკური მონაცემები EDU.ARIS.GE https://edu.aris.ge/news/category/exams/nationalexams/nationalexamsresults

[vi] საქართველოს სტატისტიკის ეროვმული სამსახური, უმაღლესი განათლება , სტუდენტთა მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba

[vii] Xiao Lu. World Education Services, July 25, 2019, What Are the Most Popular Majors for International Students in the U.S.? https://www.wes.org/advisor-blog/popular-majors-international-students/

[viii] Rebecca Morgan/ Kasey Penfield, November 18, 2019, **Association of International Educators (NAFSA)** FOR IMMEDIATE RELEASE, https://www.nafsa.org/about/about-nafsa/new-nafsa-data-despite-stagnant-enrollment

[ix] Rebecca Morgan, November 16, 2020, The U.S. loses more than 42,000 jobs and $1.8 billion as students flee for better opportunities, **Association of International Educators (NAFSA)** https://www.nafsa.org/about/about-nafsa/new-nafsa-data-show-first-ever-drop-international-student-economic-value-us

[x] საგარეო საქმეთა სამინისტრო, (8 მაისი 2020 წ) მინისტრის განცხადება სამშობლოში ორგანიზებულად და ეტაპობრივად 10,000 მოქალაქე დაბრუნდა https://mfa.gov.ge/News/davit-zalkaliani-samshobloshi-organizebulad-da-eta.aspx

[xi] International Student recruitment, April 24, 2020, The impact of COVID-19 on study abroad: April 2020 Survey Results. https://institutions.educations.com/insights/student-survey-covid-19-and-study-abroad

[xii] European Migration Network, INFORM # 2 – IMPACT OF COVID-19 ON INTERNATIONAL STUDENTS IN EU AND OECD MEMBER STATES, 2020 https://ec.europa.eu/home-affairs/sites/default/files/00_eu_inform2_students_final_en.pdf